ზვიად გამსახურდია – 80

სამწუხაროა, რომ დღეს სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ სააკაშვილის დროიდან იწყებენ (ან იწყებენ კი?). სამართლიანობა უნდა აღდგეს 1991 წლის მოვლენების ტერორის დღიდან

ზვიად გამსახურდია 1939 წლის 31 მარტს დაიბადა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში. ბატონი კონსტანტინეს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ინტელიგენც-იის წარმომადგენლები. ზვიადი იზრდებოდა მათ თვალწინ, ამ ოჯახში ისწავლა, თუ რაა ეროვნული იდეები.

ზვიადის განვითარება მრავამხრივი იყო: ქართული ეპოსი, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ჩვენი ძეგლები და ტაძრები, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქრისტიანობა და მრწამსი. ერის გმირული წარსული, მაღალი იდეები ასულდგმულებდა მის სულს და მისი სანუკვარი ოცნება იყო საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. შეისწავლა უცხო ენები (ფლობდა 6 ენას)., მსოფლიო ისტორია.

პოლიტიკურ ბრძოლაში ძალზედ ახალგაზრდა ჩაერთო. 1956 წლის მარტში იგი, მერაბ კოსტავასთან ერთად, მონაწილეობდა საპროტესტო გამოსვლებში. საბჭოთა კავშირის მაშინდელი ცკ-ს პირველი მდივნის ნ. ხრუშჩოვის გამოსვლამ ყრილობაზე და სტალინის პიროვნების კულტად გამოცხადებამ აღაშფოთა მთელი ქვეყანა და ხალხი ქუჩებში გამოვიდა. სტალინის გაკიცხვა ქართველმა ხალხმა ეროვნული უფლებების შელახვად აღიქვა და ათასობით ადამიანი რუსთაველზე შეიკრიბა.

ზვიადი და მერაბი, მათი მეგობრები, ანტისაბჭოთა პროკლამაციებს ავრცელებდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მოუწოდებდნენ ხალხს.

დატრიალდა ტრაგედია, კრემლის ბრძანებით დახვრიტეს ათეულობით ადამიანი, ქუჩებში ტანკები გამოიყვანეს, განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი იყო რუსთაველზე, კავშირგაბმულობის სახლთან. ზვიადი, მერაბი და მათი მეგობრები დააპატიმრეს იატაკქვეშა ორგანიზაციის და ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელებისათვის.

1957 წელს, ქართველი მწერლების გამოთქმული პროტესტის შემდეგ, ისინი გაათავისუფლეს. იმავე წელს ზვიადმა სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომანული და გერმანული ენებისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე. დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ასპირანტურაში, დაიცვა დისერტაცია 1973 წელს. იგი იყო მწერალი, პოეტი, მთარგმნელი გერმანული და ინგლისური ლიტერატურისა. ქმნის ესეებს, ფილოსოფიურ ნაწარმოებებს. მითოსი და მითოლოგია მისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო.

ზვიად გამსახურდია პირველი იყო, ვინც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სულ სხვა რაკურსით ახსნა. ამის საგაზეთო წერილში ახსნა შეუძლებელია. იგი უნდა შეისწავლო.

1970 წლიდან იგი ხდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე დისიდენტური და დემოკრატიული მოძრაობის აქტიური წევრი, მასთან ერთად არის მისი ქრისტესმიერი ძმა მერაბ კოსტავა. კავშირი აქვთ წამყვან მოსკოველ დისიდენტებთან – ანდრეი სახაროვთან, ანდრეი ტვერდოხლებოვთან, სერგეი კოვალიოვთან და სხვებთან.

ზვიად გამსახურდია მონაწ-

გვ-5

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 13 (10307) 1 აპრილი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

შუალედური არჩევნებისთვის კანდიდატი ჯერ მხოლოდ მმართველმა პარტიამ დაასახელა

ალიონი. მაისში, ოზურგეთის მესამე მაჟორიტარულ ოლქში, რომელშიც სერი, ექადია, ცენტრი 3 და ანასეული შედის, შუალედური არჩევნები უნდა ჩატარდეს. მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული (გარდაცვლილი) წევრის, ლევან თოიძის ნაცვლად, ახალი წევრი უნდა აირჩიოს.

ამ დროისთვის შუალედური არჩევნებისთვის კანდიდატი მხოლოდ მმართველ პარტიას ჰყავს დასახელებული. პარტია „ქართული ოცნება - დემკრატიული საქართველოს“ კანდიდატი ოზურგეთელებისთვის კარგად ნაცნობი ექიმი, **დავით მდინარაძეა.** რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, გვეუბნებიან, რომ ჯერ გადაწყვეტილებები არ მიუღიათ და კვლავ განაგრძობენ კონსულტაციებს.

დავით მჟავანაძე (ნაციონალური მოძრაობა): ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ გვაქვს მიღებული. ჩვენს პოზიციას, ალბათ, ახლო მომავალში გავახმოვანებთ. მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები. ჩვენ განვიხილავთ ორ ვარიანტს. იმას, რომ ჩვენც გვყავდეს კანდიდატი და იმასაც, რომ რამდენიმე პარტიამ წარმოვადგინოთ ერთი კანდიდატი. რომელ ვარიანტზე შევთანხმდებით, რამდენიმე დღეში გვეცოდინება.

დავით მამალაძე (ლეიბორისტული პარტია): ჯერ ჩამოყალიბების სტადიაში ვართ. შეიძლება პარტიული კანდიდატი არ გვყავდეს. მაგრამ ვცდილობ, ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა მოვიპოვო დამოუკიდებელი კანდიდატისთვის. პირადად მე დამოუკიდებელ კანდიდატად კაკო თავდუმაძის წარდგენას ვფიქრობ. თუ ოპოზიციურმა პარტიებმა არ დაუჭირა მხარი, საჭირო იქნება სხვა კანდიდატურის წამოყენება.

მიხეილ გოგოტიშვილი (ევროპული საქართველო): ჯერ არ ვართ ჩამოყალიბებული. მიმიდინარეობს კონსულტაციები.

ანოტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშებიდან

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არადროს ყოფილა შემთხვევა, განათლებული და უნარიანი საჯარო მოხელე სახლში გაეშვათ...“(?!)

ალიონი. გასულ კვირაში სამ დღეს მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და აიპების ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენა.

მოსმენაზე პირველი მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციების სამსახურის უფროსი გიორგი ინწკირველი წარდგა.

ეს სამსახური ერთ-ერთი ყველაზე დიდია მერიაში, რომელშიც 8 განყოფილება შედის, ამიტომ სამსახურის უფროსის ანგარიში ყველაზე ხანგრძლივი იყო.

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში 4 პოლიტიკური პირი, 8 სამსახურის უფროსი და 50 განყოფილების

უფროსია. დასაქმებულია 99 ქალბატონი და 121 მამაკაცი, რითაც დაცულია გენდერული ბალანსი. დასაქმებულთა შორის 27 საშუალო განათლებისაა, გვაქვს 7 ვაკანსია – თქვა ინწკირველმა.

მან მადლიერება გამოხატა თამარ ჩიბურდანიძის მიერ მერიის თანამშრომლებისათვის ჩატარებული ტრენინგის შესახებ, და ასეთი პრაქტიკის დანერგვის საჭიროებას გაუსვა ხაზი, თუმცა არ უსაუბრია კადრების დანიშვნის პრაქტიკაზე, რამდენად ობიექტურად ტარდება კონკურსები.

გოგი ინწკირველმა თქვა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში გაუქმდა საშვთა სისტემა, რაც ბარიერი იყო მოქალაქეებისათვის და ისინი ამ შენობაში თავისუფლად უნდა გადაადგილდებოდნენ, ასევე აღნიშნა, რომ დიდ ყურადღებას უთმობს საშემსრულებლო დისციპლინას და კონკრეტული ფაქტი მოიყვანა, როცა დასუფთავების აქციაზე რამდენიმე თანამშრომელი არ გამცხადდა და მათ მიმართ გატარდა შესაბამისი ღონისძიება.

–მეფის რუსეთის დროს არ მიმუშავია, თორემ ისე ყველა პოლიტიკური ძალის დროს ვმუშაობდი –იუმორით აღნიშნა გიორგი ინწკირველმა. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ გუნდურად. მე ასეთი პრაქტიკა მაქვს: –ოზურგეთში გავიზარდე, რომელიც იყო მაღალი კულტურის, ღირსების და ზნეობის ქალაქი. როცა აქ გამომიშვა ჟიული შარტავამ, მახსოვს, მითხრა, რომ უნდა გვემუშავა გუნდურად, რადგან ეს ყოველთვის წარმატების მომტანია. მაშინ რა ხდება გუნდში? თამარს (დუმბაძე) ვთხოვე გვესაუბრა....როცა ვუთხარი განყოფილების გამგეს, რომ იგი, აქ მომუშავე პირია, მიპასუხა –არა, აქ ვერ ვიმუშავებ, მივდივარ სასამართლოში –არ მუშაობს ეს პოსტულატი. ..მუნიციპალიტეტის მერიაში არასდროს ყოფილა შემთხვევა, განათლებული და უნარიანი საჯარო მოხელე სახლში გაეშვათ.(?!)..იქნებ დავტოვოთ ეს ფორმა, განყოფილების გამგეებს და სამსახურის უფროსებს არ ჰქონდეთ ეს უფლება.. ასე ილახება ჩვენი იმიჯი. არ შეიძლება ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა, რადგან ჩვენ ვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ვზივართ.–აღნიშნა მან.

სამსახურის უფროსმა საკრებულოს თავმჯდომარესაც მიმართა: –დავით, საერთო საქმეების გადაწყვეტისას უფრო მეტი საქმიანი ურთიერთობა უნდა გვქონდეს.. რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარემ უპასუხა: –გეთანხმები..

გიორგი ინწკირველმა უკრაინის რესპუბლიკის გენიჩესკის მუნიციპალიტეტთან მეგობრობის აღდგენის აუცილებლობაზეც ისაუბრა და აფხაზეთის გუდაუთის რაიონისა და ოზურგეთელ მეჩაიეების ურთიერთობაზეც.

– წელს, ზაფხულში ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი ქ. გენიჩესკში მიდის გასტროლებზე. ეს კარგი მაგალითია. უნდა აღვადგინოთ ისტორიული მეგობრობა გენიჩესკსა და ოზურგეთს შორის - აღნიშნა გიორგი ინწკირველმა.

საკრებულომ მის მიერ წარმოდგენილი ანგარიში დადებითად შეაფასა.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (**GIZ**) წარმომადგენლებმა, პროექტი კონცეფცია წარმოადგინეს, რომლის ერთ-ერთი სამიზნე რეგიონი გურიაა. პროექტი, საქარ-თველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან ერთობლივად შემუშავდა კლიმატის მწვანე ფონდში წარსადგენად.

აღნიშნული პროექტის საშუალებით ხელი შეეწყობა საქართ-ველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელებას და შემცირდება ტყის დეგრადაციის შედეგად გამოწვეული სათბურის გაზების ემისიების როდენობა.

პროექტი დაეხმარება ქვეყანას ტყის სექტორში ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილით (**NDC**) აღებული ვალდებულებების შესრულებაში, ტყისა და ენერგოეფექტურობის სექტორში ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და სოფლად განვითარებაში. პროექტის საშუალებით, საქართველოს მასშტაბით 250 000 ჰა ფართობზე განხორციელდება ტყის მდგრადი მართვა და ეროვნულ დონეზე ენერგოეფექტურობის ხელშემწყობი ღონისძიებები.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, მოადგ-ილეებთან აკაკი შენგელიასთან, გია ებრალიძესთან, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან, ოზურგეთისა და ჩოხატაურის საკრებულოს წევრებთან ერთად დაესწრო.

19 მაისს საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები გაიმართება

ცენტრალურმა საარჩევნო კომ-ისიამ დღეს 2016 წლის 8 ოქ-ტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 1 მთაწმინდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები დანიშნა. შესაბამისი განკარგულება კომისიის წევრებმა დღეს გამართულ სხდომაზე მი-იღეს. არჩევნები მიმდინარე წლის 19 მაისს გაიმართება და ჩატარდება 31 საარჩევნო უბანზე, სადაც საერთო ჯამში რეგისტრირებულია 43 868 ამომრჩ-ეველი.

როგორც ცესკოს პრეს-სპიკერმა ანა მიქელაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, დღევანდელ სხდომაზე ცესკომ განსაზღვრა ზო-გიერთი საარჩევნო პროცედურა და ასევე ვადები არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის, მათ შორის საინიციატივო ჯგუფებისთვის და დაადგინა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარსადგენი კანდიდატისთვის საჭი-რო ხელმოწერების მინიმალური ოდენობა. მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენა უნდა იყოს დადასტურებული არანაკლებ 439 ამომრჩევლის ხელმოწერით, რაც არის მთაწმინდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლების ერთი პროცენტი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღეიდან პოლიტიკურ პარტიას ან საინიციატივო ჯგუფს შეუძლია გა-ნცხადებით მომართოს ცესკოს თავმ-ჯდომარეს რეგისტრაციის გავლის მიზნით და მომართვის ბოლო ვადა არის 23 მარტი. გარდა ამისა დღეიდან მედიასაშუალებებს და სად-ამკვირვებლო ორგანიზაციებს უკვე აქვთ შესაძლებლობა აკრედიტაციის გავლის მიზნით მიმართონ შესაბამის საარჩევნო ადმინისტრაციას.“

ანა მიქელაძემ მედიასთან საუ-ბრისას ასევე აღნიშნა, რომ ცესკო გეგმავს, 19 მაისს ჩაატაროს მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუ-ალედური არჩევნები. „დღევანდელ სხდომაზე ცესკომ განსაზღვრა მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის და საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის ზოგიერთი პროცედურა და ვადები. მოგეხსენებათ, რომ კანონმდებლობის მიხედვით ეს ორივე არჩევნები, ასევე უნდა გაიმართოს მაისის თვეში, თუმცა მათი დანიშვნის თარიღი და შესაბამისი ვადები არის განსხვავებული. ამიტომ საარჩევნო ადმინისტრაცია გეგმავს, რომ მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედური არჩევნები ჩატარდეს ზუსტად იმ დროს, როდესაც ტარდება საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები ანუ 19 მაისს,“ - განაცხადა მიქელაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ინფრასტრუქტურული პროექტები: მოსაცდელები, ბეტონის გზები, გარე განათება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ოზურგეთის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დამტკიცეს.

პროექტების დამტკიცებას წინ უძღოდა მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრები და მათი აზრის გამოკითხვა –თუ რა პროექტების განხორციელებას ითხოვდნენ სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში.

გამოკითხვის შედეგები სახეზეა –მოსახლეობა ძირითადად ითხოვს საუნო გზებზე ბეტონის საფარის დაგებას, გარე განათების მოწყობას, მგზავრთა მოსაცდელების აგებას, შიდა გზების მოხრეშვას, რაზედაც მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით 2 მილიონ 148 ათასი ლარი დახარჯება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიამ 53 700 ლარი გამოყო პროექტებისთვისბეტონის საფარის დაგებასთან დაკავშირებით ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა **შალვა თავდიშვილმა** წინადადება დააყენა, რომ ბეტონის საფარი არა 15 სმ. სისქის, არამედ 8-10 სმ. სისქის იყოს, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს მეტი გრძივი მეტრი გზები დაგოს.

– *რატომ უნდა გადაიხადოს ბიუჯეტის მოსახლეობამ გარე განათების მოწყობის შემთხვევაში დახარჯული ელექტროენერგიის გადასახადი? მე ამ სოფლის მოსახლეობას წარმოვადგენ საკრებულოში და მიმაჩნია, რომ ბიუჯეტელებს ისეთივე უფლება აქვთ გარე განათების გადასახადებთან დაკავშირებით, როგორც სხვა სოფლების მოსახლეობას. ყველა სოფელი თანაბარ პირობებში უნდა იყოს* –განაცხადა სოფელ ცხემლისხიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ლალი სიჭინავამ.**

–ყველა სოფელში იყო შეხვედრა მოსახლეობასთან. ამ ეტაპზე ვერ გავაკეთებთ –უპასუხა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ოსიკო თოთიბაძემ.**

–მოსახლეობამ გადაიხადოს გარე განათების ღირებულება არასწორი მიდგომაა. საჭიროა ეკონომიურ ნათურებზე გადასვლა. ექსპლოატაციის დროს ძალიან დიდ პრობლემებს წავაწყდებით. ეკონომიური ნათურების ენერგოეფექტურობა ძალიან მნიშვნელოვანია –უთხრა თოთიბაძეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ.** რაც შეეხება მგზავრთა მოსაცდ-ელებს, მას წინა ხელისუფლების დროსაც აგებდნენ და სამწუხაროდ დღეის მდგ-ომარეობით არაერთი მოსაცდელი დანგრეული ან შესაკეთებელია. როგორც ამბობდნენ, ამ ნაგებობების „ხარისხი“ ეწ. „ატკატებს“ შეეწირა.

ამჟამად მგზავთა მოსაცდელებს აგებენ: სოფელ **მელიქელურში, მზიანში, მთისპირში** (ოქროსქედი, უკანავა), **ბილეთში** (ჭანიეთური), **ბოხვაურში** (ჭალა), **ციხისფერდში, ცხემლისხიდში, ბაღდადში, შემოქმედში, წითელმთაში, კონჭკათში, ლიხაურში** (აჭი, ვაშტიალი), **ზემო და ქვემო მაკვანეთში,** სოფელ მაკვანეთში, (გოგიეთი) მგზავრთა მოსაცდელის რეაბ-ილიტაციაც მოხდება; ასევე ადრე აგებული მოსაცდელების რეაბილიტაცია მოხ-დება სოფელ **ჯუმათში** 3 მოსაცდელი გარე-მონტდება (ანეთი, ბოგილი, ძირი ჯუმათი).

ერთ-ერთმა ქალბატონმა გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ *სოფელ მზიანში არ დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კვირაში მხოლოდ სამ დღეს დაჰყავს კერძო ტრანსპორტს თანასოფლელები ოზურგეთში* და ამდენად აჯობებდა ჯერ მუნიციპალიტეტის ცენტრს მოწყვეტილი სოფელში ტრანსპორტის დანიშვნაზე ეფ-იქრათ და შემდეგ აეგოთ მგზავრთა მოსაცდელი.

მოქალაქეთა ინოვაციური მექანიზმის შესახებ იმსჯელეს

„ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მზარდი მონაწილეობის ინიციატივა“ , ასე ჰქვია პროექტს, რომლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ორგანიზე-ით ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში.

ღონისძიებაზე გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის წარმომადგენლებმა თამარ ღლონტმა და ოთარ რევიშვილმა ისაუბრეს პროექტის მიღწევებზე და მის მნიშვნელოვან შედეგზე - მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციურ მექანიზმზე/პლატფორმაზე, რომელიც მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან აქტიური თანამშრომლობით. სწორედ აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით დაინერგა ქალაქ ოზურგეთში თანამმართველობითი ბიუჯეტი. აღნიშნულისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარი გამოიყო.

შეხვედრაზდე განხილულ იქნა მოქალაქეთა ჩართულობის ტექნიკური მექანიზმები, საპროექტო განაცხადების ელექტრონული წარდგენისა და ადმინისტრირების წესი, ხმის მიცემის სერვისი, პროექტის ღირებულების კოეფიციენტის განსაზღვრის წესი, შესასრულებელი პროექტების შესრულების რიგითობა პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გათვალისწინებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მას მედია და სხვა დაინტერესებული პირები.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებმა გასულ წელს გაიარეს ტრენინგი მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხებზე, რომელიც ორგანიზებული იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრ „პროგრესის სახლთან“ პარტნიორობით.

პროექტი - „ადგილობრივი თვით-მმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მზარდი მონაწილეობის ინიციატივა“-განხორციელდა გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) მიერ და მისი მიზანია მოქალაქეთა ჩართ-ულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

დაშნით ფარიკაობაში ოზურგეთის პირველობაზე

28 მარტს, სოფელ შრომის საფარიკაო დარბაზში ჩატარდა ოზურგეთის პირველობა დაშნით ფარიკაობაში სამ ასაკობრივ კატეგორიაში.

ბიჭები-2004-5-6-7-8 – პირველი ადგილი **ინა ჩიქოვანი** (შვიდი მონაწილე);

ვაჟები-2002-3-4-5 წ–პირველი ადგილი - **გიორგი ფუტკარაძე** (6 მონაწილე);

ვაჟები-2007-8-10-პირველი ადგილი **ცოტნე გუჯაბიძე**(10 მონაწილე).

დიდი მადლობა „ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებას" დაფინანსებისთვის.

ანოტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშებიდან

„მოხდება თუ არა ოპტიმიზაციის ხარჯზე საბავშვო ბაღებში ხელფასების მომატება?“

საკრებულოს წინაშე 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარსდგა ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ დირექტორი მაკა ჭყონია ეს ანგარიში თავისი პომპეზურობით ყველაზე გამორჩეული იყო სხვა წარმოდგენილ ანგარიშებს შორის.

სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გაერთიანებაა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და ელს მისი ამჟამინდელი ბიუჯეტი 4 200 ათას ლარს ითვლის.

– ჩვენ 2019 წლის ბიუჯეტიდან 4 მილიონ 600 ათასი ლარზე წარვადგინეთ ბიუჯეტი, მაგრამ 4 მილიონ 200 ათასი ლარი დაგვიფინანსეს. შემდეგ დაემატა 200 ათასი ლარი.

ანგარიში კარგად იყო წარმოდგენილი, რასაც დეპუტატებმაც შეაშველს ხელი.

– საბავშვო ბაღებში სათამაშოები არაა საკმარისი, ამბობენ მშობლები– განაცხადა დეპუტატმა **გენო ჩავლეიშვილმა** და მანვე ბაღებში შტატგარეშე მუშაკებზეც ჰკითხა.

– შტატგარეშე თანამშრომლები მუშაობენ საბავშვო ბაღებშიც და ბაღების გაერთიანებაშიც. სათამაშოები საკმარისია საბავშვო ბაღებში. პრობლემა საბავშვო ბაღების ეზოების მოუწესრიგებლობაა. ამიტომ იქ სათამაშო ატრაქციონების დამონტაჟებას ვერ ვახერხებთ –აღნიშნა მაკა ჭყონიამ.

–საუკეთესო პირობებია დვაბზუს და გაღმა დვაბზუს საბავშვო ბაღებში, მაგრამ აღმრდელ-მასწავლებელთა ხელფასებია დაბალი. გვაქვს წინადადება, ხომ არ მოხერხდება დვაბზუს, ცხემლისხიდის და ვაკიჯვრის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის ზაფხულის ჯგუფის გახსნა სოფელ ვაკიჯვარში?–კითხვა დასვა დეპუტატმა **როზეტა სკამკოჩაიშვილმა.**

ჭყონიამ დეპუტატს ხელფასების თემაზე დასმულ კითხვაზე არ უპასუხა, ხოლო ზაფხულის ჯგუფებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ივლისში ზაფხულის ჯგუფი შესაძლებელია გაიხსნას მხოლოდ 200 ბავშვზე, თუკი სათანადო მხარდაჭერა იქნება.

–ქალბატონო მაკა, შარშან გაცხადდა, რომ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში კვების ახალ სტანდარტზე გადასასვლელად თითოეულს 1 მილიონი ლარი დაემატებოდა, რაზეც წელს საუბარი არ შემდგარა. გარდა ამისა, თქვენ თავი აარიდეთ პასუხს დეპუტატ როზეტა სკამკოჩაიშვილის კითხვაზე საბავშვო ბაღებში ხელფასების მატებასთან დაკავშირებით –ეს კითხვა გაზეთმა „ალიონმა“ დასვა.

–მთავრობის გადაწყვეტილება კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესახებ 2019 წლის 1 თებერვლიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ ეს გადაწყვეტილება 2019 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება. რაც შეეხება ხელფასების მატებას, ბაღების აღმზ-დელ-მასწავლებლების შრომა მართლაც დაუნახავი და დაუფასებელია. ხელფასების მატება უნდა იყოს, მაგრამ თუნდაც 50 ლარით რომ გავზარდოთ ხელფასი, ამისთვის ბიუჯეტმა დამატებით 500 000 ლარი უნდა გამოყოს.

–ოპტიმიზაცია არის თუ არა რეზერვი ხელფასის მატებისთვის?- –დასვა კითხვა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე **ლავრენტი ბიგვავამ.**

– არა თუ შემცირდეს, კიდევ უნდა გაიზარდოს საბავშვო ბაღებში პედაგოგების რაოდენობა –შეეპასუხა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი **შალვა თავდიშვილი.**

– საბავშვო ბაღებში ოპტიმიზაცია გარდაუვალია –განაცხადა ლავრენტი ბიგვავამ.

საკრებულომ ბაღების გაერთიანების მიერ 2018 წელში გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა.

საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში ცნობად მიიღეს

საკრებულომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ დირექტორის **მამუკა გოგუაძის** ანგარიში მოისმინა.

მამუკა გოგუაძემ კვალიფიციურად წარმოადგინა კლუბის ანგარიში.

– ჩვენი შრომა უფრო შედეგიანი ბავშვთა ფეხბურთშია. თავის ასაკობრივ ჯგუფში დასავლეთ საქართველოს ჩემპიონატში „მერცხალის“ აღსაზრდელებმა მე-2 ადგილი დაიკავეს, ხოლო გურიის ჩემპიონატში მე-2 მე-3 ადგილი. გვქონდა საინტერესო პროექტი და მუნიციპალიტეტის 8 სოფელში გავხსენით ფეხბურთის სექციები, მაგრამ ხელშეწყობა არ იყო და 2 თვის შემდეგ პროექტი აღარ გაგრძელდა. 2017 წელს მუნიციპალიტეტის გაერთიანების შემდეგ დაბა ურეკში საუკეთესო ბავშვთა საფეხბურთო კლუბი გაუქმდა –აღნიშნა მამუკა გოგუაძემ.

მანვე განაცხადა, რომ გერმანიაში, საფრანგეთში გუნდები ნაწილობრივ მუნიციპალიტეტიდან ფინანსდებიან. ახლა ლანჩუთელი ინვესტორი (**კობა მირზაშვილი**) მოვიდა კლუბში, აპრილიდან ცალკე იქნება შპს საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“ და ცალკე სტადიონი...

–პარადოქსი ხომ არ არის, რომ ამხელა საფეხბურთო ტრადიციების მქონე „მერცხალი“ საქართველოს პირველობის ბოლო ჯგუფში გამოდის, მატჩების ნახვის სურვილიც კი აღარ გვაქვს –თქვა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **გელა არაშიძემ.**

– რამ გამოიწვია კლუბის გაუქმება. ყველამ უნდა უნდა დატოვოს სამსახური და წავიდეს სახლში. მარტო ხელფასებზე არ უნდა იყვნენ ჩამოკიდებულები –ისმოდა დარბაზში.

–რა „სამხელისუფლებიანობაა“ სტადიონზე? - დასვა კითხვა **ლავრენტი ბიგვავამ.**

მერის პირველმა მოადგილე **ალექსანდრე სურგულაძემ** განმარტა, რომ ოფიციალურად სტადიონზე არის გენერალური დირექტორი და დირექტორი.

–„მერცხალი“ სამარცხვინო პოზიციაზეა. დაპირისპირება, კონფლიქტი, ჩხუბი. ამ კონფლიქტსა და დაპირისპირებას გადაყვა „მერცხალი“ –აღნიშნა დეპუტატმა **დავით მჟავანაძემ.**

– არ შეიძლება საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ მუშაობის დამაკმაყოფილებლად შეფასება. ხელმეორედ მოვისმინოთ, ახლა მივიღოთ ცნობის სახით – თავისი პოზიცია დააფიქსირა **ლავრენტი ბიგვავამ.**

საკრებულომ კენჭისყრის გზით, ხმათა უმრავლესობით (5 დეპუტატი არ დაეთანხმა) მიზანშეწონილად მიიჩნია, ანგარიშის ცნობად მიღება. ხოლო შეფასებას საკრებულო მაშინ დაუბრუნდება, როდესაც აღმასრულებელი ორგანო წარმოადგენს არსებული პრობლემების აღმოფხვრის გეგმას.

რა ინფორმაცია აქვთ მოქალაქეებს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათ საქმიანობაზე?

ალიონი. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის პროექტის ფარგლებში 2017 წლის 27 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე „**GRRG** საქართველომ“ ქვეყნის მასშტაბით კვლევა ჩაატარა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისადმი, ევროინტეგრაციისა და ბიზნესკომპანიებისადმი.

კვლევის ჩატარებაში მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესის სახლი“. შედეგები სამოქალაქო საზოგადოებას და სხვა დაინტერესებულ პირებს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, პროექტის მენეჯერმა, ნათია ვაშალომიძემ გააცნო.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ საქართველოს მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ არც განსაკუთრებით მაღალია და არც დაბალი. ამავე დროს ევროკავშირისადმი ნდობა, ისევე, როგორც ევროინტერგრაციის მხარდაჭერა, საქართველოში კვლავინდებურად მაღალია. დამოკიდებულება ხშირად არათანმიმდევრული და სააკმაოდ წინააღმდეგობრივია. აშკარაა ის გარემოება, რომ მოსახლეობის ცოდნის დონე ამ ორგანიზაციების შესახებ საკმაოდ დაბალია. გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოსახლეობის მხოლოდ 16% შეიძლება ჩაითვალოს კარგად ინფორმირებულად არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. 90%-ს კი არაფერი სმენია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. შესამჩნევია სკეპტიკური დამოკიდებულებაც. ეს შეიძლება აიხსნას იმ შეგრძნებით, რომ ეს ორგანიზაციები „უცხო“ და „უცხოურია“, სადაც ისეთი ადამიანები არიან დასაქმებული, რომლებსაც საკუთარი ინტერესები უფრო აღელვებთ, ვიდრე მოსახლეობისა. წარმოდგენები იმის თაობაზე, რომ არასამთავრობოების საქმიანობას ძირითადად დასავლეთი აფინანსებს, საქართველოს საქმეებში უცხო ქვეყნების ჩარევის შეგრძნებას იწვევს და ამ ორგანიზაციების მიმართ უნდობლობას ზრდის. ისინი, ვისაც არასამთავრობებთან უშუალო შეხება ჰქონიათ, ბევრად უფრო პოზიტიურად არიან განწყობილი მაგრამ ასეთი ადამიანები ჯერჯერობით საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 16 %-ს შეადგენს. გარკვეული სკეპტიციზმის მიუხედავად, მოსახლეობის 56 % აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოს განვითარებაზე დადებითი გავლენა აქვს. მოსახლეობის მხოლოდ 2 % ამბ-ობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ უნდა არსებობდნენ, რაც ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არის მოთხოვნა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

ცნობისთვის, აღნიშნული ანგარიში მომზადებული„ **RRG**-საქართველოს“ მიერ პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

შეხვედრა ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით, გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსმა **ნინო შეწირულმა,** სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან **აკაკი შენგელიასთან** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში, ოზურგეთის მერის წარმომადგენლებს, მავნებელთან ბრძოლის 2019 წლის სამოქმედო გეგმა გააცნო. ასევე, მიაწოდა დეტალური ინფორმაცია დაგემილი ღონისძიებების შესახებ. ამ დროისთვის პირველი ეტაპი დაწყებულია, მიმდინარეობს მავნებლის იდენტიფიკაცია და არეალის დადგენა, რათა განისაზღვროს მავნებლის რაოდენობა. აღინიშნა, რომ წამლობის დაწყების შესახებ შეტყობინება მეფუტკრეებთან 24 საათით ადრე გაიგზავნება. გზის მიმდებარე ტერიტორიაზე კი ფუტკრის ადგილმდებარეობის შესახებ სპეციალური აღმნიშვნელი განთავსდება. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.

„წაიკითხე, წამაკითხე“ – მარადი პროექტი

თემურ მარშანიშვილი

სადაური ნოსტრადამუსი მე ვარ, მაგრამ იმის წინასწამეტყველება ნამდვილად შემიძლია, რომ ლიტერატურულ-შემეცნებითი პროექტი „წაიკითხე, წამაკითხე“, რომლის დასკვნითი აკორდი 28 მარტს ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლაში საკმაოდ მაჟორულ ნოტზე შესრულდა, სკოლის ისტორიული ფურცლებიდან მარადიულობაში გადაინაცვლებს, რადგან ასეთი პროექტები, ცივილიზებული სამყაროს მამოძრავებელ-მასულდგმულებელია და თუ კაცობრიობა გადასარჩენია, უპირველესად, წიგნიერება გადაარჩენს.

როგორც პროექტის ავტორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, VII-1 კლასის დამრიგებელმა, ქალბატონმა **ნინო ბილიხოძემ** გვამცნო, *„ეს ყველაფერი დაიწყო 2014 წლიდან, როდესაც საქართველო კლასგარეშე ლიტერატურის კითხვით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა და პატრიარქმა, უნეტარესმა და უწმინდესმა ილია მეორემ წიგნიერებისკენ სწრაფვა მოუწოდა ერს. მაშინ ამ პროექტის მონაწილე, ამჟამინდელი მეათეკლასელები მე-4 კლასში სწავლობდნენ, ახლა, მათთან ერთად, სცენაზე მეშვიდეკლასელებიც დგანან. დღეს პროექტის დასკვნითი ეტაპია. მაგრამ ჩვენს ქართულის მასწავლებლებს იდეებს რა გამოულევთ და, ვფიქრობ, „წაიკითხე, წამაკითხე“ სხვა ფორმით განაგრძობს სიცოცხლეს“.*

ექვსი წლის განმავლობაში 50 ავტორის შემოქმედების ლიტერატურული პანორამები გაშალეს ამ ბავშვებმა. ლოგიკურია, რომ 51-ე დიდი ნოდარ დუმბაძე გახლდათ, ვის სახელსაც ატარებს ეს ლიდერი სკოლა. ოთხი გუნდი გაეჯიბრა ერთმანეთს ყველაზე დიდი გურულის პერსონაჟთა გაცნობასა და განსახიერებაში და სულაც არ მიკვირს, რომ კომპეტენტურმა ჟიურიმ (**ფატი სიორიძე, მარინა ტაბიძე, ირმა ჭეფხოძე, თამარ თავართქილაძე, მაკა მამა-ლაძე**) გამარჯვებული ვერ გამოავლინა, უფრო სწორად, არ გამოავლინა, რადგან არ შეიძლება ასეთ ლიტერატურულ-თეატრალურ კონკურსს დამარცხებული ჰყავდეს.

ნოდარ დუმბაძე ის მწერალია, რომელიც პირველი წაკითხვისას ანდამატივით გიზიდავს, მეორე წაკითხვისას მიზიდულობის ძალას ზრდის, გქაჩავს და მკერდში გიხუტებს, შემდეგი წაკითხვებით კი ისე გძირავს თავის ნაწარმოებებში, გინდა, ერთ-ერთი გმირი მაინც იყო და, ნეტარებაში მყოფი, საერთოდ არ ფიქრობ დუმბაძისეული სამყაროდან გამოსვლაზე. ამიტომ, სულაც არ მიკვირს ამ ბავშვებისა, ვისაც, ღონისძიების შემდეგაც, არ სურდათ სცენიდან ჩამოსვლა, სადაც ისინი განმსახიერებლები კი არა, დუმბაძის ნატურალური პერსონაჟები იყვნენ.

ბავშვებმა წარმატებით გაართვეს თავი ისეთ რთულ ტექნიკურ გადაწყვეტასაც, რასაც პირდაპირი ეთერი ჰქვია და დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მისცეს, ღია ეთერით მოესმინა მწერლის ქალიშვილის, ქალბატონი **ქეთი დუმბაძის** მადლიერების სიტყვები თბილისიდან.

პროექტის ისტორიულ მნიშვნელობაზე დაგვცდა სიტყვა და ბარემ გაგაცნობთ ამ ისტორიული ფურცლის შემქმნელებს:

X-2 კლასი: ანა ანდღულაძე, ივერი ბურკაძე, დადუნა გეწაძე, გიორგი გიორგაძე, გურამ გოგიბერიძე, ქეთევან გოგუაძე, ანა დოლიძე, მალხაზ თავბერიძე, ანა თავდუმაძე, გვანცა კვაჭანტირაძე, საბა კვირჩილაძე, დავით მდინარაძე, თამთა მეფარიშვილი, ანა მექვაბიშვილი, ლუკა ნაკაიძე, ოთარ ნინუა, ნატა სალუქვაძე, თინიკო სიორიძე, მარიამ სირაძე, ლიკა ფოცხიშვილი, სალომე ქათამიძე, ანი ჩხა-იძე, გიგა ცხოიძე, ანასტასია ინწ-კირველი. დამრიგებელი ირმა ჭეფ-ხოძე

VII-1 კლასი: მარიამ ასათიანი, ნიკა ბაბილოძე, რეზი დათუნაშვილი, გიორგი დარჩია, შოთა დიდმანიძე, ლუკა ერქომაიშვილი, ვანო ეფრიკიანი, გიორგი ზაქარიაძე, მერი თალაკვაძე, გიორგი მამინაშვილი, გიორგი მსხალაძე, თაკო ფერსაშვილი, თორნიკე ფერსაშვილი, მათე ქინქლაძე, შოთა ქურდიანი, სანდრო ღლონტი, თინათინ შარაძე, ანი ჩიკაშუა, შოთა ჩიტაიშვილი, კონსტანტინე ჩხაიძე, გიორგი ძიმისტარიშვილი, ანასტასია ჭანუყვაძე. დამრიგებელი ნინო ბილიხოძე.

ღონისძიების ფინალში, სკოლის ჰიმნის ფონზე, ნაჩვენები იქნა „წაიკითხე-წამაკითხეს“ ექვსწლიანი მოღვაწეობის ამსახველი კადრები.

ფატი სიორიძე, სკოლის დირექტორი: *კარგის მოლოდინი, რასაკვირ-ველია, მქონდა, მაგრამ ასეთი ამაღ-ლებული ფინალი თუ იქნებოდა, ვერ წარმომედგინა. განსაკუთრებით მომეწონა მე-7 კლასის ჩართვა. ინსცე-ნი-რებული იქნებაო, რომ მითხრა ნინო მასწავლებელმა, ცოტა გამიკვირდა კიდეც. თქვენ, ბავშვებო, ძალიან ბევრი ღონისძიების მონაწილენი ხართ, ჩვენი სკოლის არაერთი ღონისძიებაც გინ-ახავთ. ასეთი სახის ღონისძიების მო-მზადების დროს ვიწვევთ რეჟისორს, მუსიკალურ ხელმძღვანელს და ასე შემდეგ. თქვენ ეს ყველაფერი თქვენით შექმენით და თქვენით მოიტანეთ ჩვენამდე, დამსწრე საზოგადოებამდე. ძალიან დიდი მადლობა ამის-თ-ვის. თქვენ რაც ამ პროექტში გააკეთეთ, არა მარტო ფინალში, არამედ პირველი დღიდან დღემდე, ეს ნადვილად დარჩება მეორე სკოლის ის-ტორიაში. დიდი მადლობა თქვენ ესოდენ მაღალი შემოქმედებითი უნარის წარმოჩენისათვის. მეორე სკოლა ამაყია, რომ ჰყავს თქვენნაირი მოსწავლეები. ბედნიერები ხართ, რომ გყავთ ისეთი მასწავლებელები, როგორებიც ნინო ბილიხოძე და ირმა ჭეფხოძეა.*

ირმა ჭეფხოძე, X-2 კლასის დამრიგებელი: *მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებისადმი; მე დღეს 32 შვილი მყავს, 2 ბიოლოგიური და 30 მართლაც ღვიძლი შვილი. ძალიამ მიყვარხართ ასევე, VII–1-კლასელებო. ჩვენი ასეთი ტანდემი, – ერთმანეთის კლასებს ვას-წავლით მე და ნინო მასწავლებელი, – ალბათ, ზეცაში იყო გადაწყვეტილი. ჩვენ განურჩეველი ვართ. მგონი, ხანდახან მე ვარ მეშვიდე პირველი კლასის დამრიგებელი, ნინო მასწავლებელი კი –მეათე კლასის დამრიგებელი. ძალიან კარგი, შემოქმედებითი ურთიერთობა გვაქვს და ამას კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ ცოტა ხანში ახალი პროექტით.*

ვაჟა ახვლედიანი და მე

პირველ რიგში მარცხნიდან მეორე – ტრისტან სიხარულიძე, მეოთხე – თანდულა კილაძე; მესამე რიგში მეოთხე – ვაჟა ახვლედიანი, მეექვსე – ომარ ხუბაევი.

ყოველგვარი გადამეტების გარეშე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვაჟა ახვლედიანი ყველა დროის გამოჩენილი მოცეკვავე და შემდგომ ქორეოგრაფი არის. მან გაიარა ისეთი ქორეოგრაფების სკოლა, როგორებიც იყვნენ: ავთო თათარაძე, გივი ოდიკაძე, კონსტანტინე (კონო) მანჯგალაძე, ვალერიან გუჯაბიძე და სხვები, რომლებიც შერჩეული იყვნენ პროფკავშირების ხაზით ქორეოგრაფიულ კურსებზე პედაგოგებად. სწავლება მიმდინარეობდა სამი თვის განმავლობაში. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყო მოწვეული ახალგაზრდა მოცეკვავეები ოზურგეთიდან. ამ კურსებზე მოვხვდი მე, ვაჟა და თანდულა კილაძე.

ჩატარდა ქასტინგი და გამოგვიცხადეს: ვინც სრიალა გასლას კარგად გააკეთებდა, ის ჩაირიცხებოდა პირველ ჯგუფში. ყველასგან გასაკვირი მოხდა, რომ ჩემი „სრიალა გასმა“ მოეწონათ და ჩამრიცხეს I ჯგუფში. ასე მოვხვდი უმაღლეს ლიგაში არამოცეკვავე ტრისტან სიხარულიძე ისეთ უკვე ჩამოყალიბებულ მოცეკვავეებთან, როგორებიც იყვნენ: ვაჟა ახვლედიანი, ანზორ გვარამაძე, ომარ ხუბაევი (შემდგომში სუხიშვილების სოლისტი) და სხვები. მე ამით დიდხანს ვტრაბახობდი, მაგრამ საბოლოოდ მივხვდი, რომ ცეკვა არ იყო ჩემი სპეციალობა.

ბატონი ვაჟა ამჟამად ითვლება ოზურგეთის ქორეოგრაფებს შორის ბერმუხად. იგი ჩვეული სიმკვირცხლით ახლაც ხიბლავს და ატკბობს მაყურებელს.

მე ძალიან ვაფასებ მის ცოდნას და პედაგოგიურ ნიჭს. იგი ენციკლოპედიაა თავის საქმეში. ყველა დროის ქორეოგრაფებსა და ცეკვებზე შეუძლია ამომწურავი პასუხის გაცემა.

ჩემს და მის მეგობრობას საფუძვლად უდევს მამამისის ივანე (ვანიჩკა) ახვლედიანის და მამაჩემის ილარიონ სიხარულიძის მეგობრობა, რომლებიც მოღვაწეობდნენ ვარლამ სიმონიშვილის ეთნოგრაფიულ გუნდში. ვანიჩკა შესანიშნავი მოცეკვავეც იყო, მეუბნებოდა მამაჩემი. ვანიჩკასთან სიმღერა მსიამოვნებდა, ისე გემრიელად ჩაახუჭუჭებდა და კარგადაც ვეწყობოდით ერთმანეთს.

ასეთი კარგი მამის შვილი კარგი ხელოვანი რომ გამოვიდა, სრულებით არ არის გასაკვირი და მე მინდა ჩემს უმცროს მეგობარს ვაჟა ახვლედიანს მივულოცო 75 წლის იუბილე და ვუსურვო ჯანმრთელობა და ნაყოფიერი შრომა ცხოვრების მანძილზე, ულევი სიხარული და ენერგია მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ტრისტან სიხარულიძე.

„გახდი ბესტსელერის ავტორის“ გამარჯვებულები „რვას+1-ში“

შეიძლება ითქვას, რომ კაფე **„რვას+1“** ოზურგეთის სავიზიტო ბარათი ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ 26 მარტს კონკურსის **„გახდი ბესტსელერის ავტორის“** გამარჯვე-ბულებთან შეხვედრა, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, სწორედ აქ შედგა.

ბიბლუსის დიდი ლიტერატურული ტურნე გრძელდება და, ჩვენი აზრით, დიდი პატივია, რომ ოზურგეთელებს შესაძლებლობა მიეცათ, მშობლიურ ქალაქში გაემართათ დიალოგი ახალგაზრდა და უკვე აღიარებულ მწერლებთან **ნიკოლოზ ტოტოლაშვილთან, ვახტანგ ვახტანგაძესთან, ნათია ჯაგოდნიშვილთან, იაგო თვალ-აბეიშვილთან** და **გვანცა გუბელაძესთან.**

აღსანიშნავია ამ შეხვედრის ორიგინალური ფორმატი, სადაც ახალგაზრდა მწერლები და ახალგაზრდა მკითხველები ერთი სივრციდან და ერთი სიმაღლიდან ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. გულღია დიალოგმა ორივე მხარე ისეთნაირად გახსნა, რომ ერთმანეთთან დაშორება ცოტა გაუჭირდათ კიდეც.

კონკურსს გამომცემლობა „პალიტრა“ მეორე წელია ატარებს. მისი მიზანია, აღმოაჩინოს ახალი სახეები და დაეხმაროს ქართველ მწერლებს წარმატების მიღწევაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

ზვიად გამსახურდია – 80

სამწუხაროა, რომ დღეს სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ სააკაშვილის დროიდან იწყებენ (ან იწყებენ კი?). სამართლიანობა უნდა აღდგეს 1991 წლის მოვლენების ტერორის დღიდან

ილეობს სერგეი კოვალიოვის მიერ გამოცემულ იატაქქვეშა ჟურნალში „მიმდინარე მოვლენების ქრონიკა“ (როგორც ავტორი).

1974 წელს იგი უზრუნველყოფს სოლჟენიცინის წიგნის „არქიპელაგ გულაგის“, დისიდენტური ნაწარმოების არალეგალურად ბეჭდვას და ავრცელებს მოსკოვსა და თბილისში. პარალელურად, მერაბ კოსტავასთან ერთად, აყალიბებს ადამიანი უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფს და სისტემატურად აწვდის ცნობებს მასობრივი ინფორმაციის დასავლურ საშუალებებს.

1875 წელს ზვიად გამსახურდია გამოსცემს „ოქროს საწმისს“ და სხვა არალეგალურ ჟურნალებს. დისიდენტური საქმიანობისათვის უნივერსიტეტში მუშაობის უფლება ჩამოართვეს.

1976 წელს პირველად აყალიბებს ჰელსინკის ჯგუფს და იწყებს არალეგალური პოლიტიკური ჟურნალის გამოცემას და გავრცელებას.

1977 წელს „ანტისაბჭოთა მოქმედებისთვის მას რიცხავენ მწერალთა კავშირის რიგებიდან, რის შემდეგ ზვიადი და მერაბი დააპატიმრეს.

1977 წლის აგვისტოში გადაჰყავთ მოსკოვის „ლეფორტოვოს“ ციხეში, ხოლო შემდეგ სუკ-ის კონტროლის ქვეშ სერბსკის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში, სადაც 4 თვე იმყოფებოდა. კრემლი პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანებს ფსიქიატრიულში გზავნიდა, ამით ფარავდა საკუთარ ინკვიზიციურ მოქმედებებს., რომ აქოდა, გიჟები არიანო. შემდეგ აბრუნებენ თბილისის ციხეში და განუსაზღვრავენ 3 წლის ციხეს და ორი წლით გადასახლებას. ციხიდან გამოსული გადაასახლეს ნოღაიში, სოფ კოჩუბეიში. გათავისუფლების შემდეგ დაბრუნდა თბილისში და განაგრძო ადამიანის უფლებათა დაცვის საქმიანობა. კვლავ გამოსცემს არალეგალურ პერიოდულ გამოცემებს: „საქართველო“, „მატიანე“, „ვესტნიკ გრუზიი“ და, მერაბ კოსტავასთან ერთად, არის საქართველოში 1987-1990 წლების გაფიცვის, შიმშილობის, მიტინგების, დემონსტრაციების ორგანიზატორი და მონაწილე.

1988 წელს მოსკოვში ჩავიდა რონალდ რეიგანი და შეხვდა დისიდენტებს, მათ შორის ზვიად გამსახურდიას, რომელმაც მადლობა გადაუხადა რეიგანს იმისათვის, რაც მან გააკეთა მისი და მერაბის დასაცავად.

უცხოეთში ზვიადი და მერაბი წარდგენილი იყვნენ ნობელის პრემიების მოსაპოვებლად, მაგრამ კრემლმა ეს არ დაუშვა.

ზვიად გამსახურდიას გათვითცნობიერებული ჰქონდა ჯერ კიდევ ადრე ის დილემა, რომელიც ყველა მოაზროვნე ადამიანის წინაშე დგება. ამ დილემის შესახებ ის საუბრობს თავის ერთ-ერთ წერილში „კაცობრიობა დილემის წინაშე“. აქ მან მოიხილა ყველა ის დილემა და პრობლემა, რაც დგას კაცობრიობის წინაშე და წინასწარმეტყველურად, დასაბუთებულად განსაზღვრა კაცობრიობის მომავალი, თუ როგორ შორდება ადამიანი ღმერთს და როგორ მიექანება უფსკრულისაკენ.

1988 წლიდან ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა. ჩამოყალიბდა სხვადასხვა პარტიები: „ჰელსინკის ჯგუფი“, „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“, „მერაბ კოსტავას საზოგადოება“, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „თავისუფალი საქართველო“, „სახალხო ფრონტი“, „რესპუბლიკური პარტია“, „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია“ და სხვ.

ყველა პარტიის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა, იქმნებოდა რეგიონებში ფილიალები, მზადდებოდა ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ამ ბრძოლაში ჩაერთო ინტელიგენცია და დაიწყო სახალხო მოძრაობა. რუსეთი გრძნობდა, რა შედეგით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი და ყოველნაირად ცდილობდა გამოეყენებინა „ნელი მოქმედების ბომბები“, დაეთესა შიდა განხეთქილება. ამის საფუძველი ჯერ კიდევ სტალინის ეროვნული პოლიტიკა იყო, ქვეყნების ავტონომიებად დაყოფა. ყველა ქარხანა და ფაბრიკა მთელ საბჭოთა კავშირში დამოკიდებული იყო ერთმანეთზე, ეს მზაკვრული გეგმა ჩადებული ჯერ კიდევ ადრე იყო.

„ნელი მოქმედების ბომბი“ აამოქმედეს აფხაზეთში და სამაჩაბლოში.

„ლიხნის კრებების“ გადაწყვეტილებამ, გამოეყოფოდა აფხაზეთი საქართველოს, საყოველთაო მღელვარება გამოიწვია. დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები, მიტინგები. საპროტესტო ტალღამ მასობრივი ხასიათი მიიღო და თბილისში, მთავრობის სახლის წინ 4 აპრილს დაიწყო უვადო შიმშილობა, კვლავ წამოიწია წინა პლანზე საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობა. ყველაფერს ამას გეგმაზომიერად წარმართავდა ეროვნული მოძრაობის ლიდერები, ზვიადის და მერაბის მეშვეობით.

1988-1989 წლებში აზვირთებული ეროვნული მოძრაობა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა იმპერიისთვის და თბილისში სასწრაფოდ გამოგზავნა დამატებითი სპეცრაზმელები, მათ შორის იყო ძერჟინსკის დივიზიის, საჰაერო-სადესანტო დივიზიის, 345-ე საპარაშუტო ავღანური პოლკი და 9 აპრილს, ღამით სასტიკად დაარბიეს მომიტინგენი და მოშიმშილეები. მომწამვლელი გაზით და ნიჩბების ცემით ჩახოცეს მოშიმშილეები. დაიღუპა 20 ადამიანი, უმეტესად ქალები.

9 აპრილის ტრაგედიამ შეძრა მთელი მსოფლიო. დააპატიმრეს მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, სხვა ლიდერები. საპროტესტო ტალღამ გადაუარა მთელ საქართველოს და ყველა რეგიონში დაიწყო უვადო შიმშილობები.

მთავრობა იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა ეროვნული მოძრაობის ლიდერები. ეროვნული მოძრაობის ლიდერები ჩადიოდნენ რეგიონებში და ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ.

მთავრობამ გადაყვიტა, ჩაეტარებინა არჩევნები, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ გადაჭრით მოითხოვეს ჩატარებულიყო არჩევნები ყველა პარტიის მონაწილეობით.

1990 წლის ოქტომბერში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, ხმათა უმრავლესობა მოიპოვა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პარტიამ ზვიადისა და მერაბის ხელმძღვანელობით. კომუნისტები ფიქრობდნენ უმრავლესობაში გასვლას, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ.

საქართველოს ისტორიაში არსებობს განსაკუთრებული მიმართვები მეფეებისა, როცა ისინი ბრძოლის წინ მიმართავდენენ ლაშქარს, მაგალითად, გუბაზ მეფის მიმართა, დავით აღმაშენებლის მიმართვა. ჩემი აზრით, ზვიად გამსახურდიას წარმოთქმული სიტყვა „ქარიშხალას“ სტადიონზე განსაკუთრებულია. 1990 წლის 26 მაისს გადაჭედილ სტადიონზე მან მიმართა საზოგადოებას. მომყავს ამონარიდი მისი სიტვებიდან:

„და დადგა ჟამი ჩვენი გათავისუფლებისა, ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით, ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლება უფალმა ისე წაგვართვა, ვით მოგვევლინა და დაგვატყდა თავს არნახული სასჯელი, რომელიც 70 წელია გვანადგურებს. ამის გამო მივიღეთ, ძმანო, ეს სასჯელი, რამეთუ უარვყავით ქრისტე, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა, ავაზაკის, სოციალ-დემოკრატიის და მსგავსთა მისთა გზა“...

„წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, აი, მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენს წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა, და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობის და მზაკვრობისა, აი გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს. გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას, კურთხეულ იყოს საქართველო, რომელიც წავა ამ გზით და ვინც წარწყმენდის გზით, ბარაბას გზით წავა, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე“.

1991 წლის 9 აპრილს 12 საათსა და 30 წუთზე მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. მომყავს ამონარიდი ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან:

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ სასუფეველში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, **აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“**

ახლა, როცა აჩვენებენ კადრებს, როცა ზვიად გამსახურდიამ ეს სიტყვები წარმოთქვა, არ შემიძლია თავი შევიკავო ცრემლებისაგან სიხარულისა და გულისტკენისა, რადგან რაოდენ საწყენია შემდგომი პერიპეტიები, რაც საქართველოში განვითარდა.

მოვა დრო და შთამომავლობა მთელი სიგრძე-სიგანით გადალახავს ამ ფაქტს და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 9 აპრილს იზეიმებენ.

ახალარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 14 ნოემბერს გამართულ პირველ სესიაზე ზვიად გამსახურდია თავმჯდომარედ აირჩია. იმავე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქვეყანას „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწოდა და აღადგინეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა – დროშა, გერბი და ჰიმნი.

1991 წლის 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თითქმის ერთხმად აირჩია ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

საქართველოს ისტორიაში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა 1991 წლის 26 მაისს. არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 84-მა პროცენტმა მიიღო.

ზვიად გამსახურდიას ესოდენ დიდმა წარმატებამ კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი.

იმ ფაქტმა, რომ ქართველმა ხალხმა ზვიად გამსახურდია აირჩია პრეზიდენტად 1991 წლის 26 მაისს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს საბჭოთა კავშირში, მეტადრე თავისუფლებისთვის მებრძოლ რესპუბლიკებში, ახალ სამოკავშირო ხელშეკრულებაზე უარის თქმის ტენდენციამ თავი იჩინა უკრაინის ხელისუფლებაშიც, რაც უკვე ძალიან ბევრს ნიშნავდა. აშკარად გამოიკვეთა, რომ გორბაჩოვის მიერ დაწყებული „ნოვოოგარიოკის“ პროცესი განწირულია. მის ხსნას შეეცადა პრეზიდენტი ბუში, რომელიც ივლისში მოსკოვს ეწვია, სადაც მოეთათბირა შევარდნაძეს და გორბაჩოვს, შემდეგ ჩავიდა კიევში და წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, სადაც ფაქტიურად დაემუქრა თავისუფლებისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს იმით, რომ ვერ მიიღებდნენ დახმარებას აშშ-ს მხრიდან.

ბუშმა განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ ამ კაცმა (ანუ ზვიად გამსახურდიამ) ცოტათი მაინც უნდა დაამუშაოს ის განცხადებები, რომელთა გაკეთებასაც აპირებს. ეს არის კაცი, რომელიც მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. ის უნდა მიყვეს დინებას და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში“.

მოგვიანებით ბატონ ბუშს ზვიად გამსახურდიამ შეახსენა ერთი უძველესი ჭეშმარიტება: „დინებასთან ერთად მიცურავს მკვდარი თევზები“.

ბუშს არ აწყობდა საბჭოთა კავშირის ასე უცებ დაშლა, მას არ აწყობდა ნაციონალური სახელმწიფოები, ეს „მსოფლიო წესრიგს“ ეწინააღმდეგებოდა. ასე რომ, საქართველოში მოწყობილი პუტჩი და გადატრიალება დაგეგმილი იყო „ზემოთ“ და ამას წამოეგო ქართული ოპოზიციური პარტიები, ინტელიგენცია. შეიქმნა პარალელური მთავრობა, რაც დამთავრდა სახელმწიფო გადატრიალებით, პრეზიდენტის დევნით და ბოლოს მისი განადგურებით.

სამწუხაროა, რომ დღეს სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ სააკაშვილის დროიდან იწყებენ (ან იწყებენ კი?). სამართლიანობა უნდა აღდგეს 1991 წლის მოვლენების ტერორის დღიდან. არავის მოსდის აზრად, რომ სახელმწიფო გადატრიალება, პრეზიდენტის გაძევება და მერე მისი განეიტრალება, საშინელი ღალატი და დანაშაულია. ამ დანაშაულმა დაანგრია საქართველო და უკვე 30 წელია წელში ვერ ვიმართებით, ურთიერთქიშპობამ, დაპირისპირებამ არნახული მასშტაბები მიიღო და საშველი არ არის. თუ ასე გაგრძელდა, ერთმანეთს კი არ ჩაიირავენ, ჩაიჭირება საქართველო.. ზვიადის სიტყვები გავიხსენოთ, არ მივყვეთ ბარაბას გზას და გადავრჩებით. გვახსოვდეს უფლის სიტყვები: ვინც ჩემთან არის, აღვავსო სიკეთითა“.

ვახტანგ მამეიშვილი,
2019 წელი, 20 თებერვალი.

წერილში გამოყენებულია ამონარიდები სოფიო ღლონტის წიგნიდან „ზვიად გამსახურდიას ქრისტიანული მრწამსი“

ყველას ვურჩევდი ამ წიგნის წაკითხვას, რათა კარგად გაიგოს, რა ბუმბერაზი იყო ზვიად გამსახურდია. ღმერთი საუკუნეში ერთ ან ორ გამორჩეულს აგზავნის და ჩვენ ვერ ვხედავთ. მოკალით ილია, მისი მიმდევრები, საუკუნის ბოლოს – ზვიადი და მერაბი და კიდევ მრავალი სხვა, კაენის გზას ვადგავართ, რომელიც ღვთისგან დაწყევლილია!

როცა ღვთის რისხვა დაგვატყდება, მერე გვიანი იქნება „თითზე კბენანი“.

ვ. ვ.

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ სასუფეველში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, **აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“**

13 მედალი, მათ შორის 7 ოქროს რესპუბლიკური ტურნირიდან - ოზურგეთელი მოჭიდავეების წარმატება!

ქ.ლანჩხუთში, ქართულ ჭიდაობაში აფხაზეთის ომში დაღუპული ჯამბულ ხოფერიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა.

შეჯიბრში მონაწილეობა საქართველოს რეგიონებიდან ორ წონით კატეგორიაში (2002 -2004 წწ.) (2005 -2006 წწ.) მოასპარეზე სპორტსმენებმა მიიღეს.

ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა ტურნირში წარმატებით იასპარეზეს და უმცროს ასაკში შემდეგ წარმატებებს მიაღწიეს :

საბა ქურასბედიანი – 35 კგ. წონით კატეგორია - I ადგილი;

ნიკა სირაძე - 35 კგ. წონითი კატეგორია - II ადგილი;

გუგა კილაძე - 40 კგ. წონითი კატეგორია - II ადგილი;

ნუკრი ჩიტაიშვილი - 50 კგ. წონითი კატეგორია - II ადგილი;

რევაზ ბოლქვაძე - 60 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი;

დემეტრე ქათამიძე - 60 კგ. წონითი კატეგორია - II ადგილი;

უფროს ასაკში კი საპრიზო ნომინაციები ასე გადანაწილდა :

გიორგი ამყოლაძე - 45 კგ. წონითი კატეგორია - II ადგილი;

გელა ქურასბედიანი - 60 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი;

საბა ხოზრევანიძე - 65 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი;

ლუკა ფუტკარაძე - 65 კგ. წონითი კატეგორია - III ადგილი;

ვეფხვია გაბუნია - 70 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი;

როგორც 70 კგ. წონით კატეგორიაში, ასევე მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა და ოქროს მედალი დაიმსახურა **გოდერძი ქათამიძემ.**

რესპუბლიკური ტურნირისათვის მოჭიდავეები მწვრთნელებმა : **დავით ჩიკაშუამ** და **გოჩა ბურჭულაძემ** მოამზადეს.

განცხადება

სააქციო საზოგადოება „იმედის“ აქციონერთა საყურადღებოდ:

2019 წლის 16 აპრილს, 16 საათზე მოწვეულია სააქციო საზოგადოება „იმედის“ აქციონერთა საანგარიშო კრება

დღის წესრიგი:

გასული, 2018 წლის სამეურნეო და ეკონომიკური შედეგების განხილვა და მიმდინარე წლის ამოცანები.

მომხსენებელი ოლეგ გობრონიძე.

სააქციო საზოგადოება „იმედის“ ადმინისტრაცია.

იყიდება

ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე 2-სართულიანი, კეთილმოწყობილი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. აქვს გარაჟი, ეზო 500 კვ.მ. დაგვიკავშირდით: (591) 15 57 57.

სკანვორდი



№ 12-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – რაბინ დრანათ თაგორი; სამისნო წიგნი – რამლი; ბანგლადეშური ფული – ტაკა; ცეცხლის ენა – ალი; თურქი ფერმწერი – დერელი; თხელი ლაფი – დღლუ; ყველაზე ცივი ადგილი ანასეულში – ორაფო; ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი – ადარა, ნაცვალსახელი – იგი; პატარა საწნახელი – ორე; სპირტიანი სასმელი – ვისკი; მეტყველების ორგანო – ენა; დადებითი პასუხი – კი; ქალის სახელი – ნაილი; მონა ქალი – მხევალი; ჩამონთვალი – სია; დიახ – ჰო; მეგრული სიმღერა – ოდოია; სასიმინდე – ნალია; მამაკაცის სახელი – გოგი; ძაძა – ფლასი; საკუთარ თვალში რომ ვერ ხედავენ – დირე; კანონგარეშედ გამოცხადებულთა სია – პროსკრიფცია; ქალაქი აფხაზეთში – ოჩამჩირე; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია – საია; მოჭადრაკე ... კრამლინგი – პია; მოგება ნარდში – ოინი; კურორტი იმერეთში – საირმე; სითხის საზომი – კარჩხალა; ცნობილი ილუზიონისტი – კიო; ბილიარდის ჯოხი – კია; ბგერის წერითი ნიშანი – ასო; ჩხუბი – ლალვა; წვრილმანების ქურდი – ბაცაცა; წამლის ფორმა – აბი; საგანგებო დავალება – მისია; მეორე ნოტი – რე; დერეფანი, გალერეა – ტალანი; მეტყვე – დაბალი; ხშირი ტყე – ტევრი; განთიადი – აისი.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

„ხორუმბაში“- ნიჟა ლომინაძე

სიტყვა ხორუმი ხოროსაგან არისო წარმომდგარი. ცეკვა „ხორუმის“ განმარტებისათვის დავესესხე ბატონ რეზო ჭანიშვილს, რომელიც თავის წიგნში „წერილები ეთნოგრაფიაზე“ წერს: „ისტორიკოსების ცნობა იმის თაობაზე, რომ ძველი მესხური ტომების წარმოდგენები მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად, რაღაც რიტუალურ როკვა-სიმღერას აწყობდნენ, უშუალო ასახვას პოულობს ხორუმის ერთ-ერთ სახეობაში, ე. წ. „გადახვეულ ხორუმში“. გადახვეული ხორუმი, ხელ-გადაჭდობით, ხელ-გადახვევით ცეკვას უნდა ნიშნავდეს“.

ქორეოგრაფი ენვერ ხაბაძე თვლის, რომ „გადახვეული“ საერთო წესიდან გადახვევად უნდა გავიგოთ... წარმოშობით ცეკვა „ხორუმი“ საბრძოლო შინაარსის მქონე ცეკვაა, რომელიც პირდაპირ კავშირშია უძველესი ქართველური ტომების მიერ შექმნილ სანახაობათა კულტურასთან... არ არის გამორიცხული, ცეკვა „ხორუმის“ გადახვეული მასაზრდოებელი წყარო შრომითი პროცესის ასახვის მცდელობა იყოს. ამ მხრივ იგი უახლოვდება საწნახელში ყურძნის დასაწნეხად ჩამდგარი მამაკაცების მოძრაობას, ლაზ მეთევზეთა ცეკვის ელემენტებს და მეთუნეების მიერ თიხის ზელვის სცენას. ამ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ეთნოგრაფთა მიერ გურიაში, აჭარის მთიანეთში, შავშეთსა და კლარჯეთში მოპოვებული მასალები.

ბატონი რეზო ჭანიშვილი ასკვნის, რომ „ხორუმი“ მაინც საფერხულო წყობის უძველესი, ამასთან, საბრძოლო შინაარსის ფორმაა, აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენო, რომ გურიაში „ხორუმის“ სახელწოდებით დადასტურებულია ლექსთა დაობა, შეჯიბრი შაირში.

იონა მეუნარგიას ცნობით: „დათა გურიელის სასახლეში ჩვეულებრივად, როცა ბატონიშვილები მოიყრიდნენ თავს, დაიწყებდნენ „ხორუმის“ თამაშს და სიმღერას, ისინი გაიყოფოდნენ ორ დასად და დაუწყებდნენ ერთმანეთს დაობას ლექსით ექსპრომტად, სხვაზე უფრო შესანიშნავი მოლექსენი იყვნენ ტრიფონა გიგინეიშვილი და ბიკოლია ჭყონია, რომლებიც არჩევან-არადანით იყოფოდნენ შუაზე მთელი კრება და შემდეგ შეუტევდნენ ერთმანეთს მოსწრებული სიტყვების „ცეცხლით“. როგორც ჩანს, სახელწოდება „ხორუმი“ ამგვარ თამაშს იმის გამო, „შეერქვა“, რომ ადგილი აქვს შერკინებას, ლექსით გაბრძოლებას, ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერდა ავთანდილ თათარაძეც. ამასთან, არც იმ ვარაუდის გამორიცხვა შეიძლება, რომ სახელწოდების წარმოშობაში გარკვეული როლის თამაში, თვით მონაწილეობის პრინციპსაც შეეძლო. იგი ხომ გუნდურ პინციპზეა აგებული, მასში „ხორო“ მონაწილეობს.“(რეზო ჭანიშვილი „წერილები ქორეოგრაფიაზე“ გვ.92).

პროფესორ ლილი გვარამაძის აზრით: „დინამიკით აღსავსე, უსიტყვოდ მეტყველი ცეკვა „ხორუმი“, რომელიც ჩვენს დროში სრულდება, ძველი დროის ნაშთია. „ხორუმი“, ანუ „ხორონი“ მეომართა ცეკვაა, ხორუმის წინამორბედად, მონადირეთა ცეკვა უნდა მივიჩნიოთ, ძნელია მხოლოდ იმის გარკვევა, თუ რომელი სახეობის ცეკვას მიეკუთნება იგი - მიმიკურს თუ ტანვარჯიშულს, რადგან მასში გაერთიანებულია ორივე ელემენტები“. (ლ.გვარამაძე „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“ გვ.83).

ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, ხორუმი შემორჩენილია თავისი რამდენიმე ვარიანტით, რომელთა შორის უმთავრესია: აჭარული, გურული და ლაზური ხორუმი.

გურული ხორუმის თავისებური ვარიანტი შექმნა ცხემლისხიდელმა ნიჟა ლომინაძემ, რომლის შესახებ მოვუთხრობ მკითხველს.

ნიჟა ლომინაძე დაიბადა 1867 წელს, სოფელ ცხემლისხიდის უჩხუბის უბანში. როგორც ამბობენ, კლასიკური განათლება მას არ მიუღია. არც ისაა ცნობილი თუ ვისი დახმარებით შეისწავლა დაკვრა. უკრავდა თითქმის ყველა ინსტრუმენტზე: ფორტეპიანოზე, ჩონგურზე,ფანდურზე, დოლზე,დაირაზე,დიპლიპიტოზე. გურულ ხალხურ ინსტრუმენტზე - სოინარზე და რაც გასაოცარია - ვიოლინოზე. მისი ბიოგრაფები წერენ, რომ როგორც ვიქტორ დოლიძემ თავისით შეისწავლა ვიოლინო, ასე შეიძლება ნიჟამაც დამოუკიდებლად შეისწავლაო და მეორეც, ვარლამ სიმონიშვილი იგონებს, რომ „მე ვეახელი ოზურგეთში დიდ მომღერალს და მუსიკოსს ფილიმონ ქორიძეს, რომელმაც მიმიღო და ჩემი თხოვნით დამაწყებინა სანოტო სისტემის შესწავლა, შესაძ-ლებელია ნიჟა ლომინაძეც ასე მოქცეულიყო, ეს არავინ იცის“.

ნიჟა ლომინაძის საქმეს და მოღვაწეობას პატივს მიაგებდნენ და გამორჩეულად მიაჩნდათ ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებს არტემ ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილებს, თუმცა, ნიჟა ლომინაძეს არასოდეს უმოღვაწია მათთან.

გიორგი სალუქვაძე პირველ მასწავლებელს უწოდებდა ხელოვნებაში ნიჟა ლომინაძეს. ბატონი გიორგი წერდა:„ სხვა ღირსებებზე რომ არაფერი ვთქვათ, რაიონის მომღერალთა და მოცეკვავეთა შორის ნიჟა ლომინაძე პირველთაგანი იყო ნოტებზე გადამღები მუსიკის გავრცელების საქმეში. ის თავისუფლად არჩევდა ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ნიკოლოზ სულხანიშვილის,ია კარგარეთელისა და სხვათა სიმღერებს.

ნიჟა ლომინაძეს ოზურგეთის (ფანერის) თეატრში დაუდგამს სპავშვო ოპერეტა „ყვავილების მეჯლისი“, თურმე ფერადი კრეპლინის ქაღალდებით შეაკერინა თითქმის ყველა ყვავილი, სცენაზე მოსწავლეთა გუნდი მღეროდა .ნიჟა ლომინაძე ოლიმპიადებს გულმოდგინედ ამზადებდა. მას შეეძლო სამი სკოლის გუნდის ხელმძღვანელობა და რამდენიმე საკოლმეურნეო გუნდის. ყველგან პუნქტუალური იყო, ამბობენ. მის მიერ მომზადებული სასკოლო თუ მოზრდილთა ანსამბლები ოლიმპიადებზე ყოველთვის წარმატებებს აღწევდნენ.

ნიჟაზე წერდნენ:„ნიჟა ლომინაძის შემოქმედებას ჰქონდა მრავალსახეობა და ჭეშმარიტად ესთეტიკური ძიების უნარი, მაგრამ, რაც არ უნდა ეკეთებინა, მისთვის ყველაზე დიდი საქმე საგუნდო და ქორეოგრაფიული სიჩაუქის ძიება იყო მაინც პირველთაგანი. და აი, ხორუმს, რომელიც მან შექმნა, მცირე ქორეოგრაფიული ანსამბლით, განსაკუთრებული საშემსრულებლო ხიბლი ჰქონდა. ამ ცეკვას ქორეოგრაფები დღესაც „ნიჟასეულ ხორუმს“ უწოდებენ.“

ამ ხორუმით ისე მოხიბლულა კინორეჟისორი სიკო დოლიძე, რომ კინოფილმ „დარიკოში“ გადაუღია ნიჟა ლომინაძე თავისი ძმისშვილებით (ძმები: ლავრენტი, სიმონ და ვალიკო ლომინაძეები).

ცნობილია ნიჟა ლომინაძის წარმატებები სხვადასხვა ოლიმპიადებზე. გიორგი სალუქვაძის მოგონება: „1934 წელს ამიერკავკასიისა და 1937 წელს საქართველოს მე-4 რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე თავისი მცირე მოცეკვავეთა ჯგუფით „ნიჟასეულმა ხორუმმა“, პირველი ჯილდო დაიმსახურა.

ასევე საინტერესოა მიხეილ გოლიაძის მოგონება: „1954 წელს ოლიმპიადის მომსწრე მეც გახლდით, სადაც ჩემი ძმა გოგი გოლიაძე ცეკვავდა „ფარცაკუკუში“. თბილისში სწორედ ამ ოლიმპიადაზე ნიჟამ ოპერის თეატრში გიორგისეულ (სალუქვაძე)„ფარცაკუკუში“ სოლო შეასრულა. ამ დროს იგი 87 წლის იყო. იგი ერთ მომენტში ცერზეც შედგა, რისთვისაც აპლოდისმენტები დაიმსახურა. ეცვა ჩაქურა და სამყადში ვერცხლის ქამარიც თან ჰქონდა“. (მიხეილ გოლიაძე, ვარდენ მენაბდე - „ოზურგეთის გაზეთი“ 2001 წელი).

ბატონი ვაჟა ახვლედიანი: „დღეისათვის საქართველოში ცეკვა „ხორუმის“ შესრულების სამი ვარიანტი არსებობს, ესენია: ლაზური, აჭარული და გურული. სამივე ხორუმის შესრულების შინაარსი საერთოა, საცეკვაო ილეთებით ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ შესრულებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგ. ლაზურ-აჭარული ხორუმი უფრო წყნარი და ფრთხილია, საცეკვაო მოძრაობებიც უფრო რბილად სრულდება. გურული „ხორუმი“ უფრო სხარტი და შემტევითი სტილისაა, ყოველი საერიშო ფრაგმენტის შესრულებას წინ უსწრებს შესვენების ამსახველი მოძრაობა, ანუ ცეკვის ილეთი, რომელიც ხორუმის შესრულების პერიოდში რამდენჯერმე მეორდება.

ხორუმის გურული ვარიანტის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი გახლდათ სოფელ ცხემლისხიდის მკვიდრი, სოფლის სკოლის პედაგოგი ბატონი ნიჟა ლომინაძე. ბატონი ნიჟა იყო როგორც სკოლის, ასევე სოფლის მომღერალ მოცეკვავეთა გუნდის ხელმძღვანელი. მას ბევრი ახალგაზდისთვის უსწავლებია სიმღერა, ჩონგურზე დაკვრა და გურული „ხორუმის“ უძველესი ვარიანტით შესრულება. მათ შორის გახლდათ დიდი გიორგი სალუქვაძე, რომელიც ბავშვობის წლებში სწავლობდა სოფლის შრომით სკოლაში. სწორედ ნიჟა ლომინაძემ შეასწავლა ბატონ გიორგის სიმღერა, ცეკვა და ჩონგურზე დაკვრა. ბატონ გიორგის ნიჟას დამსახურებად მიაჩნდა,რომ იგი შემდგომში გახდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი, მომღერალი და მოცეკვავე... ნიჟა ლომინაძე იყო ხორუმის საუკეთესო „ხორუმბაში“, ეი. ქორეოგრაფიული ტერმინოლოგიით თავმოსამე (ცეკვის წამყვანი). ცეკვის დროს იგი

გამოირჩეოდა სხარტი და შეტევის ჟინით მეხორუმეებს ვირტუოზულად და მეტად მოხდენილად ფეხებთან უთამაშებდა ხანჯალს. როგორც ცეკვის წამყვანი, ფინალურ მომენტში წინ წაწოლილად, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გვერდულად მკვეთრად წვება, თან მის მოძრაობას, ხანჯალს აყოლებს და იატაკზე წვერის ცემით ასრულებს საფინალო საკფავ ფრაგმენტს და ასე გადიოდა სცენიდან. ნიშანდობლივი გახლავთ ცნობილი ფაქტი: გიორგი სალუქვაძეს უთქვამს ნიჟასთვის - „მე ხომ ვცეკვავდი შენს ხორუმში,ახლა გთხოვ ჩემ მიერ შექმნილ „ფარცაკუკუში“იცეკვო. და მართლაც, 1957 წელს ოპერის თეატრში 87 წლის ასაკში ფეხისწვერებზე იცეკვა“.

ფოლკლორული ხელოვნების დიდი მოტრფიალე - მოცეკვავე, მომღერალი, მასწავლებელი, ცეკვა „ხორუმის“ მისეული დამდგმელი ქორეოგრაფი, მხიარული, იუმორით სავსე, სოფლის კოლორიტი, თვითნასწავლი შემოქმედი - ასე ახასიათებენ ნიჟა ლომინაძეს. სიცოცხლეშივე აღიარებული ხელოვანი დაჯილდოვებული იყო მრავალ ორდენითა და მედლით, სიგელით, ფასიანი საჩუქრით. მას და მის მეუღლე სასინო ჩხაიძეს ხუთი შვილი ჰყავდათ. აქედან ნიკოლოზი კარლო და ეკატერინე პედაგოგები იყვნენ. შვილებს მამის ნიჭი დაჰყვათ ,მღეროდნენ და უკრავდნენ ხალხურ ინსტრუმენტებზე. ბატონმა ნიჟამ თავისი ხელით დაამზადა ვიოლინო, რომელზეც თვითონ უკრავდა, დაკვრა ისწავლა სმენით, მასწავლებლის გარეშე, ნოტებსაც თვითონ არჩევდა. ვიოლინო დღეს ინახება მისი შვილთაშვილის ვანო ლომინაძის ოჯახში. იგი შეგვპირდა, ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმს გადმოსცეს საჩუქრად ზემოთ ხსენებული ვიოლინო.

მღეროდნენ ბატონი ნიჟას რძლებიც: ნიკოლოზის მეუღლე თამარ თავამაიშვილი, პედაგოგი - მღეროდა და უკრავდა ფორტეპიანოზე; ვალოდის მეუღლე ციალა - სოფლის მომღერალთა გუნდის წევრი იყო.

ღრმა მოხუცი,ბუნებით ხელოვანი და რომანტიკოსი ადრეულ გაზაფხულზე გარდაიცვალა, ენანებოდა გაღვიძებული და აყვავებული ბუნების დატოვება. „ჭის წყალი მოითხოვა, იები დაგვაკრეფინა, წყალში ჩაყარა, მიიშუშა სახეზე და გადავიდა ბუნებაში“. ასე იხსენებენ შინაურები. დაკრძალულია ცხემლისხიდის ძლევისკარის სასაფლაოზე.

ნიჟას მემკვიდრეები: ნიჟას სახელოვანი მემკვიდრეები ჰყავს დავასახელებ მისი შვილის ნიკოლოზის შვილებს ნოდარის და ვაჟას. ნოდარი პროფესორია და ლექციებს კითხულობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. აწ გარდაცვლი ვაჟა ლომინაძეს დიდი სიყვარულით იგონებენ თანასოფლელები, სოფლის პედაგოგები.ვაჟა ბისნესმენი იყო, რუსეთში მოღვაწეობდა. ბოლო წლებში მშობლიურ სოფელში დამკვიდრდა და ქველმოქმედებას ეწეოდა.

2000 წელს ააგო წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია (მოძღვარი მამა თეიმურაზ ბურჭულაძე).

2003 წელს გახსნა ნიჟა და ნიკო ლომინაძეების სახელობის საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი სკოლა, რომელიც საგვარეულო ტაძართან მოქმედებდა. სკოლა უფასო იყო, დადიოდნენ ახლომახლო სოფლებიდან. სკოლისათვის ოზურგეთიდან მოიწვია კვალიფიციური პედაგოგი, რომელსაც ტრანსპორტით და ხელფასით უზრუნველყოფდა. სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდეგ (2005 წელი) სკოლამ ცოტა ხანი იფუნქციონირა და შემდეგ დაიხურა. დღეს ნიჟასეულ ყოფილ კარმიდამოში მდუმარედ და უფუნქციოდ დგას აღნიშნული სკოლის შენობა. სასურველია, ამ საკითხით დაინტერესდეს შესაბამისი სტრუქტურები და სპეციალისტები.

ვაჟა ლომინაძეს დიდი მადლიერებით იგონებენ ცხემლისხიდის საჯარო სკოლის პედაგოგები. როგორც მათ გვითხრეს,ბატონ ვაჟას საკუთარი სახსრებით გაურემონტებია სამი საკლასო ოთახი,მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის ოთახი. იმ დუხჭირ დროში ეს ჩვენთვის დიდი დახმარება იყო, კიდევ ბევრი ჩანფიქრი ჰქონდა მაგრამ არ დასცალოდაო, ამბობენ პედაგოგები

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი.

„ჭინჭრაქა“ – 151-ე თეატრალური სეზონის მეორე პრემიერა

თემურ მარშანიშვილი

ა, კიდო: ამ ქალაქშიც ყველაფერი დასწრებაზეაო და ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, სპექტაკლით „ჭინჭრაქა“, თეატრის საერთაშორისო დღე – 27 მარტი წინდღით მიულოცა თეატრალებსა და სასცენო ხელოვნების მოყვარულთ. ეს იყო 151-ე თეატრალური სეზონის მეორე პრემიერა.

დრამატურგ გიორგი ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ საქართველოში თითქმის არც ერთი თეატრის სცენიდან არ ჩამოდის. ეს ისეთი სახასიათო შტრიხებით დახუნძლული პიესაა, რომელშიც რეჟისორები და მსახიობები, ყოველი შეხებისას, ახალ ხილს პოულობენ. სარეცენზიო წარმოდგენაც, საბედნიეროდ, გამორჩეულია ამ ნიშნით.

ზღაპარი მარტივიაო, იყვიან ხოლმე. მარტივი უძახეთ თქვენ და, ამ სიმარტივეში, რეჟისორ **ოთარ კუტალაძის** ხელმძღვანელობით, ისეთი მწიფე და ნატურალური სახეები გამოძერწეს როგორც უფროსი, ისე საშუალო და უმცროსი თაობების მსახიობებმა, რომ ისინი გურიანთის კულტურის სახლისას კი არა, წამყვანი, სახელგანთქმული თეატრების სცენებსაც დაამშვენებდა. ამიტომ ვამბობდი და ვიმეორებ, თაობათა ცვლას არც ერთ თეატრში, ალბათ, ისე უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, როგორც გურულების ერთადერთ პროფესიულ თეატრში, რაც, რასაკვირველია, ამ პროცესისადმი თეატრის ხელმძღვანელობის ზედმიწევნით სწორი მიდგომის და დასის წევრების კოლეგიალური ურთიერთობის შედეგია.

ახლა მოკლედ იმის შესახებ, რაც ვნახე და რამაც გამახარა, კარგ ხასიათზე დამაყენა:

– გავა დრო და ახალგაზრდა მსახიობები **გიორგი ჩავლეშვილი** (ჭინჭრაქა) და **ანი გოდერძიშვილი** (მზია) სიამოვნებით გაიხსენებენ თავიანთ როლებს, რითაც სავსებით დამსახურებულად უთბილესი აპლოდისმენტები დაიმსახურეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს დღე გიორგი ჩავლეიშვილისთვის, ვისთვისაც, თუ არ ვცდები, ეს მხოლოდ მესამე როლი იყო ოზურგეთის თეატრის სცენაზე. მათი მოხეტიალე ბერიკებად გარდასახვაც დასამახსოვრებელია;

– ძალიან უხეშად ნათქვამი თუ არ გამომივა, ზღაპრულზე უფრო, რეალური გაიძვერაა **ირაკლი ვადაჭკორიას** ვეზირი, მიზნის მისაღწევად ყველანაირ ხრიკზე წამსვლელი;

– რამდენადაც დიდია, იმდენად ბრიყვია **გენადი ნიკოლაიშვილის** ბაყბაყდევი, რისთვისაც პერსონალურ „ბრავოს“ იმსახურებს მსახიობი;

– რომ იტყვიან, „დაგლიჯა“ **ზაზა ჯინჭარაძის** პერსონაჟმა, რომელიც მგელია, თანაც მამალი მგელი;

– ნამდვილი რაჭული ხასიათის დათვი წარმოგვიდგინა **ზვიად ჯორბენაძემ;**

– ეპიზოდურ ჩარჩოებში ვერ ეტევა ახალგაზრდა მსახიობის **კობა ახალაძის** რევი;

– ქოსა მრჩეველის საინტერესო სახე შექმნა **ივანე ჩხაიძემ;**

– უკვდავების მზეთუნახავად მოგვევლინა **შორენა გვეტაძე;**

– ცბიერია **თამარ მდინარაძის** ტურა;

– „ცეცხლზე ნავთს ასხამს“ **ლია მარტიაშვილის** მელა;

– აღარაფერს ვამბობ **ნუგზარ ბარამიძესა** და **თემურ კვირკველიაზე**, უფრო ის გამიკვირდებოდა, ამაზე ნაკლებად რომ განესახიერებინათ თავიანთი შუბოსნები.

სახალისო სიახლე გახლდათ სპექტაკლში „სიცრუის დეტექტორის“ ელემენტების შეტანა.

წერილობით ვუქებ ხელოვნებას სპექტაკლის რეჟისორსა და სცენური ვერსიის ავტორს **ოთარ კუტალაძეს,** მხატვარ **თამაზ დარჩიას**, მუსიკალურ გამფორმებელ **გოგა მახარაძეს,** ქორეოგრაფ **მარიკა ქვეითაიას.**

თუ საწყენი არ იქნება, იმის შესახებაც, რა არ მომეწონა: ეს იყო, პირველ რიგში, ფონოგრამების (როგორც პლუსი, ისე მინუსი) უხარისხობა. შეიძლება ვცდები, მაგრამ, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ ასეთ მელოდიებს მსახიობები, თვითონ გაართმევენ თავს ცოცხალი შესრულებით.

ვერ ავიტანე სიტყვა „ჰამბურგერი“ ვეზირისგან მზიას საკვოიაჟის „გამომზეურებისას“. კი, ბატონო, შეიძლება გათანამედროვებული იყოს, მაგრამ ანი გოდერძიშვილი (მზია) როგორი გასამეტებელია საჰამბურგეროდ?!

და ბოლოს, ჩემი აზრით, „ჭინჭრაქა“, როგორც კარგი სპექტაკლი, დიდხანს უნდა შერჩეს ოზურგეთის თეატრის რეპერტუარს, რამეთუ მას აქ არასოდეს მოაკლდება გემოვნებიანი მაყურებელი, განსაკუთრებით სკოლის ასაკის ახალგაზრდები.

„ქვეშეფსია ბიჭი“ ყოველდღიურად 2500 ლიტრამდე წყალს ხარჯავდა

ბრიუსელის საინჟინრო სამსახურმა დაადგინა, რომ რომ ცნობილი ქანდაკება „ქვეშეფსია ბიჭი“ ყოველდღიურად ხარჯავს 1000-დან 2500 ლიტრამდე სუფთა სასმელ წყალს.

ამაზე ყურადღება გაამახვილა ენერგეტიკის სპეციალისტმა რეჯის კალენსმა, რომელმაც შადრევანზე მრიცხველი დააყენა. მისი სიტყვებით, 400 წლის განმავლობაში, არავის აზრად არ მოსვლია, რომ „ქვეშეფსია ბიჭი“ ყოველდღიურად ხარჯავს იმ რაოდენობის სასმელ წყალს, რამდენსაც 10 ბელგიური ოჯახი ერთად.

ქალაქის ხელისუფლებამ პრობლემა წყლის ცირკულირების დახურული სისტემით გადაწყვიტა, რომელიც „მშარდავ ბიჭს“ საშუალებას აძლევს, ხელმეორედ ისარგებლოს უკვე გამონაყენები წყლით.

„ქვეშეფსია ბიჭის“ ქანდაკება ბრიუსელში XVII საუკუნეში გამოჩნდა და იგი ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი სკულპტურული ქმნილებაა.

ტაილანდში, საცხოვრებელ სახლში ხუთმეტრიანი სამეფო კობრა დაიჭირეს

ქალაქ კრაბიშის (მიანკრაბის რაიონი, ტაილანდი) მცხოვრებმა კხუნ გომატონმა, თავის სამზარეულოში გიგანტური გველი აღმოაჩინა, რომლის სიგრძე 5 მეტრს აღემატებოდა. გამოიძახა მაშველები.

ადგილზე მისული სამაშველო სამსახურის თანამშრომლები გაკვირვებული დარჩნენ კობრას ზომებით. თავდაპირველად იფიქრეს, რომ საქმე ჰქონდათ პითონთან, მაგრამ შხამიანი გველი აღმოჩნდა რეპტილიაზე გაცილებით საშიში.

სამაშველო ოპერაცია 15 წუთს გაგრძელდა და დაუპატიჟებელი სტუმარი საბოლოოდ დაიჭირეს.

გაბრიელ მდინარაძე-91

თეატრის საერთაშორისო დღეს იუბილარი გახლავთ ქართული თეატრის დიდი ქომაგი, საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნების ძურუმი, ვარსკვლავოსანი

გაბრიელ, გაბო მდინარაძე

ჩვენს გაბილას, უნიჭიერეს მსახიობს, კაცურ კაცსა და ჩვენს კოლორიტს 91 წელი შეუსრულდა.

საუკეთესო სურვილებითა და დიდი სიყვარულით ვულოცავთ. კიდევ მრავალი იუბილე გვეზეიმოს სიხარულით.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

1 აპრილი	2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი	6 აპრილი	7 აპრილი
ღრუბელი +4+9	მცირე წვიმა, +4+7	მზე, ღრუბელი, +4+11	მზე, ღრუბელი, +6+14	მზე, ღრუბელი, +6+15	მზე, ღრუბელი, +9+15	ღრუბელი +10+16
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა